



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 863

2016 წლის 11 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“ გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის №648 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის N648 ბრძანებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“. კერძოდ, ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ბოკერია - კომისიის თავმჯდომარე - (გამგებლის პირველი მოადგილე);

გიორგი მჭედლიშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

თამარი დარბაიძე - კომისიის მდივანი (იურიდიული სამსახურის მთ.სპეციალისტი);

დავით მათიაშვილი-საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე;

ზვიადი ხვედელიძე - საკრებულოს ფრაქცია „სოფლის ხმას“ თავმჯდომარე;

მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს გამგებლის პირველ მოადგილეს გიორგი ბოკერიას.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია